

პრესა ჩვენში და სხვა პატარა ერებში

(გამოქვეყნებული იყო სათაურით „ჩვენი სისუსტე“ გაზეთ „ივერიაში“ 1887 წ. N3 იაკობ სიდამონიძის ხელმოწერით)

წარსულის 1886 წლის უკანასკნელ ნომერში „ივერიამ“ დაბეჭდა ცნობანი შესახებ იმისა, თუ რამდენი ხელის-მომწერი ჰყავდა მას წლის განმავლობაში საზოგადოდ და საქართველოს სხვა-და სხვა კუთხეებიდამ კერძოდ. ეს საინტერესო ცნობები ფრიად საყურადღებოა ორიმხრივ: საზოგადოდ იმიტომ, რომ გვიხატავს ჩვენს ქვეყნის გონების მოძრაობის ხარისხსა, -კერძოდ იმიტომ, რომ გვიჩვენებს, რომელი კუთხე საქართველოში უფრო უკან რჩება განათლებასა და რომელი უფრო წინ მიჩანჩალებს. დავიწტოთ კერძოდან და გადავიდეთ ზოგადზედ.

ყველაზე მცირე რიცხვი მკითხველებისა „ივერიას“ ჰყოლია თავის რედაქტორის სამშობლოში-კახეთში. რადა? იქნება იმ მიზეზის ძალით, რომელიც გამოიხატება სახარების სიტყვებით: „არა აქვს პატივი წინასწარმეტყველსა სამშობლოსა შინა“? მაგრამ სიმცირე კახელის ხელის- მომწერლებისა ყველა სხვა ჩვენებურს პერიოდულის გამოცემაზედაც გვიჩვენებს, რომ აქ მოქმედობს საზოგადო, შინაგანი მიზეზი და არა კერძო, გარეგანი შემთხვევა. ამასვე ემოწმება ის უეჭველი ამბავი, უკვე ბეჭდვით გამოქვეყნებული, რომ კახეთი შედაებით სხვა კუთხეებთან იბარებს ბევრით ნაკლებს რიცხვს როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებისას, ისე ყოველგვარის წიგნებისას. ცხადია, რომ ამ ჟამად გონების მოძრაობა კახეთში სუსტია ძლიერ.

როგორ მოხდა ესა? რამ შეასუსტა და რამ მოჰკვეცა ფრთა განათლებისადმი მისწრაფებას იმ ქვეყანაში, რომელიც წინანდელს საუკუნოებში მესვეური იყო მთელის საქართველოსი, რომელსაც მეთორმეტე საუკუნეში ჰქონდა გამართული უმაღლესი სასწავლებელი იყალთოში, სადაც მიემურებოდა ყოველი ქართველი მეცნიერებით გატაცებული, და სადაც თვით რუსთველმა, მესხეთიდან მოსულმა, შეასრულა სწავლა? რამ დასცა განათლება იქ, სადაც რამდენისამე საუკუნის განმავლობაში მძვინვარე ბარბაროსობამ სპარსეთისამ და ლეკებისამ ვერ ჩააქრო ლამპარი სწავლისა და სადაც წარსულის საუკუნის დამლევსაც არსებობდა საუკეთესო სასწავლებელი მთელისს საქართველოსისა-სასულიერო სემინარია, თავის ფრიად შესანიშნავის ლექტორებით- გაიოზით, დავითით და სხვებით?.. ჩვენ ეხლა ამის გამოკვლევას ვერ შევუდგებით და წინ ვადგენთ ამ საკითხს იმ განზრახვით, რომ კახეთის განათლებულმა დასმა იფიქროს იმაზედ, მოუნახოს სათავე ადგილობრივს სენსა და სამკურნალო ძალამო დაადოს.

შესანიშნავია აგრეთვე და დასაფიქრებელი ის ამბავიც, რომ ქუთაისის გუბერნია ხელ-მომწერთა რაოდენობით უკან ჩამორცკომია თბილისისას. წინად ეს ასე არ იყო და და ჩვენის ლიტერატურისადმი სიყვარულით იმერთ პირველი ადგილი ეჭირათ. საკვირველი ის არ იყო, რადგანაც იმიერეთი მთლად ქართველია, და ორას-სამასის ათას ქართველით ჭარბობს აღმოსავლეთის საქართველოსა. შედარებითი სიმცირე ხელისმომწერლებისა ლიხის მთის იქით რომ გამარტოებული ამბავი იყოს, მაშინ ეს მოვლენა კერძო თვისებისა იქმნებოდა და აიხსნებოდა იმითი,

რომ იმერთ არაფრად ეპიტნავენათ ახლანდელი ჩვენი ყოველ-დღიური გაზეთი. მაგრამ სხვა საბუთებიც მოწმობენ იმერთა უკან ჩამორჩომას უკანასკნელს წლებში და აქ დასახლებულს მოვლენას აძლევენ საზოგადო თვისებასა. მაგალითად, წიგნები ხუთიოდე წლისწინედ ბევრად ნაკლებად ისყიდებოდა თბილისის გუბერნიასში, ვიდრე ქუთაისში, -თითქმის ორი წილი სხვადა-სხვა გამოცემათა იქით იფინებოდა და ერთი წილი აქეთ. ახლა კი ამერნი არამც თუ დაეწივნენ იმერთა, წინაც გაუსწრეს და მათზედ ბევრით მომეტებულს წიგნებს თხოულობენ და ყიდულობენ. ქუთაისის განათლებულმა დასმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაპყროს ამ ამბავსა, თორემ, სხვა არა იყოს-რა, გაცრუვდება წინასწარმეტყველება რამდენისამე წლის წინეთ ზოგიერთა იმერთაგან წარმოთქმული დიდი რიხიანობით: „მზე საქართველოში დასავლეთიდან ამოდისო“.

შემდეგ მკითხველი შეიძლება ძლიერ დაანაღვლიანოს იმ ცნობამა, რომ სამეგრელოს განაპირა ქალაქს ზუგდიდში ხელის-მომწერი ან სრულიად არა ჰყოლია „ივერიასა“, და ან თუ ჰყოლია, იმდენად მცირედი, რომ სათქმელად არა ღირებულა. დიად, ფრიად დამაღონებელი იქნებოდა ეს კერძო ამბავი, რომ იგი არა ქარწყლდებოდეს სხვა მოვლენითა. საქმე ის გახლავთ, რომ ქალაქი ზუგდიდი, დაბა ხონივით, დიდძალს ქართულს წიგნებს თხოულობს. ამ განაპირა ქალაქში ქართულ წიგნებით ვაჭრობს არა ერთი და ორი მაღაზია, არამედ 5-6. ზუგდიდის ვაჭრები ასობით და ორასობით იბარებენ ქართულს სახელმძღვანელოებსა და ისე წიგნებსაცა და სწრაფად ასაღებენ. დიდი და პატარა თურმე ძლიერ ეტანება გონებრივს საზრდოსა. საქმე იქამდის არის მისული, რომ თვით ბატონის აშორდიას პაწია მოწაფეებსაც კი პირველივე წლის განმავლობაში ქართული წიგნი შინად უსწავლიათ, თუმცა მათს მასწავლებელს არამც თუ ქართული წიგნი, ქართული სიტყვაც არ გაუგონებია მთელის წლის განმავლობაში... მაშ რითი უნდა ავხსნათ ზუგდიდელების გამოკლება „ივერიის“ ხელის-მომწერთა რიცხვიდან? ან იმითი, რომ ძლიერ ცოტა სცხოვრობს იქ განათლებული პირი და ან იმითი, რომიქაური კეთილშობილნი ეკუთვნიან მიზანტროპების დასსა, ქვა მიუგდიათ ქვეყნიერობისათვის და გერმანიის პესიმისტის ჰარტმანისავით ნირვანაში ჩახურჭუმელაობას ნატრულობენ. მაგრამ მიგვიჩინდია ამის გამოკვლევაც ადგილობრივ წელთა აღმწერებისათვის...

რამდენადაც ზუგდიდს გული დაუკლია ჩვენის პრესისათვის, იმდენად უნუგეშებია მეორე განაპირის ქალაქს, ახლადშემოერთებულს ბათუმსა, მას თითქმის იმდენივე ხელის-მომწერი აღმოუჩენია „ივერიისათვის“, რამდენიც კახეთის თვალს-თელავსა. მაგრამ მკითხველი ძლიერ შესცდება, თუ ამ სიკეთეს ცოტაოდნად მაინც მიაწერს ბათუმის ქართულს სკოლასა... თვის მასწავლებელი ამ სკოლისა ბ-ნი მოსე ნათაძე ხელს მოგვიწერს იმ აზრზედ, რომ მისდამი მინდობილს სასწავლებელს ჯერედ არც ერთი მკითხველი არ შეუძენია ჩვენის ლიტერატურისათვის, თუმცა თვითონ სკოლა საუკეთესოა და ოსტატიც ძალიან მარჯვე ჰყავს. სამწუხაროდ, ამ ლამაზს ამბავს ცუდი მეზობელი ახლავს. თელავისავით ბათუმიც ძლიერ ნაკლებ თხოულობს ქართულს წიგნებსა და ამის გამო ამ ქალაქში არც ერთი მაღაზია არა ვაჭრობს ქართული წიგნებითა. ბათუმმა რომ ზუგდიდიდან აიღოს მაგალითი, ურიგო არ იქნება.

დასავლეთიდან უკან დავბრუნდეთ და ვინახულოთ შუა გული საქართველოსი-ქართლი. ხშირად იხარჯებოდა და ახლაც იხარჯება მკვახე-მკვახე სიტყვები ქართლელების შესახებ. ზანტი ხალხია, სიცოცხლეს მოკლებული და ცუდაობა უყვარსო. მართალია, ხანისხან ისიც წამოსცდებათ ხოლმე, რომ თუ ქართლელი დაიდრა და გაიწია, ვეღარაფრით შეაფერხებ და თავის გულის წადილს უთუოდ მიეწევაო. მაგრამ ეს ისე ხილად გვესმოდა და კილვა-კიცხვა ქართლელებისა ბევრს პირზედ ეკერა და აკერია. რა პასუხს აძლევენ ქართველები თავის ულმობელთა მკიცხველთ? სიტყვით არაფერსა და

საქმით კი აი რასა: ყველა კუთხეებზედ მეტს ხელისმომწერელს აღმოუჩინენ ხოლმე ყოველს რიგიანს პერიოდულს გამოცემას, როგორც „ივერიას“ აღმოუჩინეს ერთი-ორად და სამად მეტი,ვიდრე კახელებმა და ქიზიყელებმა ერთად, - შედარებით მომატებულს წიგნებს იბარებენ და ამასთან სასწავლებლებში ჰგზავნიან იმდენს ზავშვებს, რომ თბილისის გიმნაზიებში და სხვა სასწავლებლებში ერთს კახელზედ მოდის ორი-სამი ქართლელი. ამითაც არა თავდება ქართლელების მიზიდულობა სწავლისა და ლიტერატურისადმი. მაშინ, როდესაც ლიხის მთის იქით ლაპარაკიც ვერ გაუბედნია თავად-აზნაურობას სასკოლო ხარჯის გაწერაზედ, მაშინ, როდესაც კახეთისა და ქიზიყის თავად-აზნაურობა იმეტებს მხოლოდ რაღაც საცოდავს ორი ათასს მანეთს თავისავე შვილების აღსაზრდელად, ღარიბი ქართლელი კეთილშობილობა კისრულობს ოცი ათასის მანეთის შეტანას საზოგადო სასკოლო კასაში. თუ კიდევ გნებავთ იმისი საბუთი, რომ ქართლელები მაღლა სდგანან თავის რეპუტაციაზედ, სახელზედ, მოგახსენებთ კიდევ ერთს საყურადღებო ამბავს: ამ ჟამად რუსეთის უნივერსიტეტებში შვიდი ქართველია პროფესორად: მოხუცი ჩუბინაშვილი, თარხნიშვილი, ცაგარელი, ოქრომჭედლიშვილი, პეტრიაშვილი, მელიქიშვილი და თარსაიძე. თითქმის ესენი ყველანი ქართლელები არიან და უწარჩინებულესი მათგანი, რომელსაც ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს მთელის რუსეთის პროფესორტა და მეცნიერთა შორის, შიგ შუაგულ ქართლიდან არის. სასურველია, რომ ფეხ-ადგმულმა ქართლმა თავისი ნაბიჯი განათლებისადმი გააჩქაროს და განამტკიცოს.

მაგრამ... საქმე ის გახლავთ, მკითხველო, რომ თუ ცოტა ოდნად სჯობიხარ შენს დაცემულს მეზობელსა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიცოცხლით სავსე ხარ და აყვავების გზაზედ სდგები. ძალიან შესაძლებელია, რომ შენც თითქმის იმისთავნავე სავალალო და სამტირალი მდგომარეობაში იყო, როგორშიანც არის შენი საპყარი მეზობელი. სწორედ ამ სავალალო მდგომარეობაში ვართ ამჟამად ქართველები საზოგადოდ. რომ ამ დასკვნამდმი მიხვიდე, საკმარისია ცოტა ხნობით შეაჩერო შენი გონება იმ ცნობებზედ, რომელიც „ივერიამ“ განუზიარა თავის მკითხველებსა შესახებ ხელის-მომწერთა რაოდენობისა, და ამასთან მოიგონო სხვა ქართული პერიოდულის გამოცემის სამწუხარო ბედი... „ივერიის“ ცნობებიდან სჩანს, რომ მას შარშანდელის წლის განმავლობაში ჰყოლია მხოლოდ ექვსასი ხელის-მომწერი. მართალია, წინად „დროებას“, აწ გაუქმებულსა, ასის ხელის-მომწერთ ნაკლები ჰყავდა, მაგრამ ეს ამბავი მაიც ძლიერ დამაღონებელია.

„ივერია“ ამ ჟამათ არის არმც თუ ერთად-ერთი ყოველდღიური გაზეთი ქართულს ენაზედ, არამედ თითქმის მარტოდმარტო წარმოადგენს ჩვენს პერიოდულს ლიტერატურასა. მას არა ჰყავს მოცილედ არც ერთი გაზეთი, არც ერთი ჟურნალი და არც რაიმე სპეციალური გამოცემა. ქართველი მკითხველების რიცხვი არ იყოფება და იგი შემოკლებულია თითქმის მთლად ერთად-ერთის გამოცემის გარშემო. და აი ამ ერთად-ერთს წარმომადგენელს, გამომხატველს ჩვენის გონების ყოველ დღიური მოქმედებისას და ინტერესებისას, გააჩნია თავის ბედზედ მხოლოდ ექვსასი მუდმივი მკითხველი.

ექვსასი მკითხველი სამშობლო პრესისა ხალხში, რომელსაც ჰქონია იმისთანა ბრწყინვალედ დრო, როგორც მეთორმეტე საუკუნე, შეუქმნია ლიტერატურა, შემდგარი ყოველ-გვართა სამეცნიერო თხზულებათაგან, და რომელსაც ამშვენებდა და დღესაც ამშვენებს მთელი გუნდი მაღალ ნიჭიერ პოეტებისა?! რას გააწყობს რაოდენიმე ასი ცვარი წყლისა უდაზნო სახარაში? რა სულის ჩადგმა შეუძლია ლიტერატურისათვის ასეთს პაწია გუნდს მკითხველებისასა?

მახლობელი წარსული ჩვენის ლიტერატურისა უფრო კიდევ აშავებს ამ შავს ფიქრსა. თვალ-წინ გიდგება ხანგრძლივი სულის ბრძოლა „ცისკარისა“, მოკლე, ძლიერ მოკლე სიცოცხლე „საქართველოს მოამბისა“, „მნათობისა“, „კრებულისა“, „შრომისა“, „იმედისა“, „ნობათისა“, ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიკიდა მაგრა ფეხი ჩვენში, ვერ გახდა მკვიდრ მოთხოვნილებად საზოგადოებისათვის, ვერ გააღებო ყინული საზოგადო გულგრილობისა. თვითეული მათგანი წარმოადგენდა ორანჟერეის მცენარესა, ითხოვდა ძიძას, სათუთ მოვლას, ოთახის სითბოს და მოკლებული იყო იმ ნამდვილს ძალ-ღონეს, რომელიც საჭიროა ბრძოლისათვის საზოგადო ასპარეზის ტრიალს მინდორზედ. თვითეულს მათგანზე გამოჭრილი იყო ერთის რუსი პოეტის სიტყვები: не развел и отцвел. შედარებით უკეთესი ბედი ჰხვდა ყოველდღიურს გაზეთს „დროებასა“. მაგრამ ამ გამოცემამაც თავის უკანასკნელს რედაქტორს მადლობა იმითიგადაუხადა, რომ რვა ასი თუმანი კისერზედ მოახვია. გაზეთმა რომ ოცი წელიწადი ცოცხლა იმოქმედოს და ბოლოს, შრომის დაჯილდოების მაგივრად, თავის მოღვაწედ ვეებერთელა ვალი თავს დაადვას, მეტი-ლა დამტკიცება გინდა საზოგადოების გულ-ცივობისა სამშობლო ლიტერატურისადმი!

თუ მწიგნობრობას გადავაველებთ თვალსა, აქაც იგივე უნუგეშო სურათი დაგვხვდება წინა. გარდა ორიოდ სახელმძღვანელოსი, გასავალი ყოველ-გვარი წიგნებისა ჩვენ საზოგადოებაში იმდენად მცირეა, რომ იშვიათი გამოცემა არ ითხოვს ავტორისაგან, უანგარო ჯაფის გარდა, ქონებრივს მსხვერპლსაცა! გამოსცემს რომელიმე ავტორი სამასიოდა ეგზემპლიარს თავის თხზულებისასა, დაადებს ძლიერ იაფს ფასსა, იმედოვნებს, რომ ერთი-ორი წლის განმავლობაში მაინც გაიყიდებაო,- მაგრამ გადის ათი წელიწადიც და მისი გამოცემა ღპება მაღაზიებში და გულს უწყალებს პატრონსა... მოდი ამისთანა მდგომარეობაში და შეინარჩნე ლიტერატურული უნარი, წყურვილი სამშობლო ლიტერატურის აღორძინებისა.

მაგრამ იქნება ამისთანა დიდამბლავება სამშობლო ლიტერატურის თანაგრძნობისა, მისი მიმკვდარება აუცილებელი ხვერია ყველა პატარა ხალხისა და სხვებთან ერთად აქ ჩვენზედაც მოქმედობს საწოგადო უღმობელი კანონი?.. გადავაველოთ ერთს წამს თვალი სხვა ქვეყნებსა და დავრწმუნდებით, რომ არავითარი საზოგადო კანონი არ ამართლებს ჩვენს გულის აცრუებას სამშობლოს ლიტერატურაზედ.

ჩვენ მაგალითად არ წამოვაყენებთ საბერძნეთისა და სერბიის ლიტერატურის აღორძინებასა, არ გავიხსენებთარც ავსტრიის სლავიანების და სხვა ხალხების გონების მძლავრს მოძრაობასა, ამათში შესაძლოა კაცმა ლიტერატურის აღორძინება განსაკუთრებულს მიზეზს მიაწეროს. ასე დასინჯეთ, არც პატარა უელსს დავასახელებ, იმ პატარა ქვეყანას კელტებისას, რომელიც მიკუნჭულია ინგლისის დასავლეთის ერთს ნახევარ-კუნძულზედ და რომელიც არამც თუ თვითონ მნედ მუშაობს სამშობლო ლიტერატურის ადა მწიგნობრობის აღორძინებისათვის, თვით ინგლისელებსაც კი აყვარებს თავის ლიტერატურას იმდენად, რომ წიგნები უელსუს ენაზედ შემდგარია ნახევრობით ინგლისელებისაგან. ჩვენ მივმართავთ სულ უმცირეს ტომთა, რომელთაც არსებობის სულ უმცირესი საფეხური უკავიათ. აქ გავიცნობთ ჩვენთვის ძლიერ სამარცხვინო სურათსა.

ბალტიის ზღვის პირად ცხოვრობს პატარა ერი, რომელსაც სახელად ლატიშები ჰქვიათ და რომელიც რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომია. რიცხვით იგი საქართველოზედ უფრო მცირეა და თვალი აახილა მხოლოდ სამოციოდე წლის წინად. წინანდელს დროში მას არ ჰქონია არც ჟურნალ-გაზეტობა, არც ლიტერატურა და არც საზოგადოდ მწიგნობრობა. თვითონ ბეჭდური სიტყვა

ლატიშურს ენაზედ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაშ დაიბადა. როგორ გგონიათ, ეს პატარა ხალხი რამდენს პერიოდულს გამოცემას აწარმოებს? არა ერთსა და ორსა, არამედ შვიდსა. და როგორ აწარმოებს? ეს გამოცემანი სრულიად უზრუნველყოფილნი არიან მკითხველის საზოგადოების მხრივ და ჯეროვნად აჯილდოებენ მოღვაწე ლიტერატორებს როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად.

ჩავიდეთ კიდევ უფრო ქვემოდ. რკინის სახელმწიფოში- პრუსიაში ცხოვრობს ერთი პაწია სლავიანთა ტომის ერი, სახელად ლუჟიჩელები. მათი ქვეყანა სწორედ გორის მაზრის ოდენა იქნება და მცხოვრებთა რიცხვით მხოლოდ 200 000 სულსა, ესე იგი უდრის საქართველოს მეათედს ნაწილსა. პრუსიამ იხმარა ყოველი ღონის-ძიება, რომ ამ პაწია ერისათვის დაეკარგვინებინა ყოველი ნაციონალური საუნჯე, მეტადრე ენა, გადაეგვარებინა და ნემეცებად გაეხადნა, მაგრამ ამაოდ. ამ ერთი მუჭა ხალხმა საოცარი სიმტკიცე გამოიჩინა თავისი ეროვნულის თავისებურობის დაცვაში. ამ ჟამად იგი მხნედ, შეუპოვრად ცდილობს ააღორძინოს თავისი პატარა ლიტერატურა, ააყვავოს და მტკიცე წარმატების გზაზე განამტკიცოს.საუკეთესო ღონის-ძიებად ამ თავისი წადილის მიღწევისათვის მას მიაჩნია ჟურნალ-გაზეთების გაძლიერება სამშობლო ენაზედ. ამ ჩვენის ერთის მაზრის ოდენა ქვეყანას ამჟამად აქვს ხუთი პერიოდული გამოცემა, რომელთაც საკმარისი ხელის-მომწერი და შემოსავალი აქვთ და რომელთაც მხურვალე თანაგრძნობით ეპყრობა საზოგადოება.

რადგანაც ლუჟიჩელები ათჯერ მცირენი არიან რიცხვით, ამიტომ, ჩვენ რომ იმათოდენა სიყვარული გვექონოდა სამშობლო ლიტერატურისა, სწორედ ორმოც-და-ათი პერიოდული გამოცემა უნდა გვეწარმოვებინა. ამის მაგიერ რასა ვხედავთ? სრულიად მოკლებული ყოველ-თვიურს ჟურნალს, ჩვენ დავრჩენილვართ ერთადერთ ყოველ-დღიურის გაზეთის ამარად და ამასაც იმოდენა თანაგრძნობას ვერ ვუჩენთ, რომ რედაქტორმა, თავისი უანგარო შრომის გარდა, თავის ჯიბიდან მაინც არა მოგვახმაროს-რა, და თანამშრომელნი, ყოველ დღე ოფლის მღვრელნი, იღებდნენ იმდენს მაინც, რომ ადამიანურად თავი ირჩინონ.

დიაღ, როდესაც კულტურულ ქვეყნებში გონების მოთხოვნილება უპირველესად ყოვლისა კაყოფილდება, როდესაც იქ წიგნებისა და გაზეთების კითხვა იმისთანა საჭიროებად მიაჩნიათ, როგორც სადილის ჭამა, როდესაც იქ სრულ ადამიანად თავის თავს მაშინა სთვლიან, როდესაც ყოველ დღე მისდით რაიმე პერიოდული გამოცემა და ამ გზით უკავშირდებიან თავის მწერლებს,- და როდესაც იქ ყოველი შეგნებული კაცი თავის წმინდა მოვალეობად სთვლის თავის წრეში გაავრცელოს სიმპატია მის მიერ ამორჩეულის გამოცემისა და უმრავლოს ხელის-მომწერი, ჩვენში ჭკუის საზრდოება, გონებაზედ ზრუნვა სრულიად მივიწყებულია, და სამაგიეროდ სუფევს კუჭი და მეფობენ დაბალი მოთხოვნილებანი. ქართველი კაცი ან არ იბარებს ქართულ გამოცემათ, და თუ იბარებს, კითხულობს უწადილოდ, ზანტად, უინტერესოდ, თითქო უსიამოვნო ვალს ასრულებსო, და აზრადაც არ მოსდის, რომ ამ გამოცემის თანაგრძნობა და სიყვარული დაბადოს და გააძლიეროს თავის გარემო წრეში და ამითი დაეხმაროს სამშობლო ლიტერატურის წარმატებასა და მისდამი თანაგრძნობასა?

იქნება ყველაფერი ეს არის შედეგი ქართველთა ერის უნიჭობისა?..

ამისთანა შემთხვევაში ერის წარსულს აეკითხებიან ხოლმე და იქა ცდილობენ ამოიკითხონ უტყუარი პასუხი. რა პასუხს იძლევა საქართველოს ისტორია?

ქართველის ერის მეზობლად მცირე აზიაში წინანდელს დროში ესახლნენ ბევრი ხალხი, რომელთაც ჰქონდათ თავისი განსაზღვრული ტერიტორიაც, ენაც, ლიტერატურაც და ქრისტეს სწავლითაც იყვნენ განათლებულნი. სად არიან ეხლა ეს ხალხნი? რა იქნენ პერგამელნი, კაბადოკიელნი, ლიდიელნი და სხვანი? ხანგრძლივს ბრძოლას უღმობელს მტრებთან ვერ გაუძლეს, დაჰკარგეს სამშობლოც, ენაც, ლიტერატურაც, ქრისტეს რჯულიც და დანიავდნენ. იგივე უღმობელნი მტერნი დაესხმოდნენ ხოლმე თავს ჩვენს ქვეყანას და უნდოდათ იგი სხვებსავით შეემუსრათ და ჩაეყლაპათ, მაგარამ ქართველმა ერმა, და მხოლოდ მან მცირე აზიაში, თავი გაიტანა და სამი უმთავრესი საუნჯე ეროვნებისა მტკიცედ დაიცვა: დაიცვა სამშობლო ტერიტორია, ადგილი, დაიცვა ენა, განვითარებულ და კულტურულის ენების სიმალემდის აყვანილი, და დასასრულ, დაიცვა თავის შორის ქრისტეს აღსარება. ამ საუნჯეთა დაცვა მთლიანად ვერ მოახერხა თვით ნიჭიერმა და ოსტატმა სომხის ერმა. დიდი ხანია ნათქვამია: ხე ნაყოფით იცნობებისო. იმ ნაყოფთა მოსხმისა და დაცვისთვის, რომელიც ეხლა დავასახელებთ, საკმარისი არ იყო მარტო ვაჟკაცური მარჯვენა, ელვარე ხმალი და ბასრი ხანჯალი. ამაზე უფრო საჭირო იყო გამჭრიახი ჭკუა, შორს გამჭვრეტი გონება.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადეს:

სსიპ ქალაქ თელავის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სალომე და მარიამ ფროდიაშვილებმა